



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ყოველკვარტალური
ანგარიში (იანვარი - მარტი - 2017) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე
ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ

სარჩევი

<i>1. შესავალი</i>	
<i>. 1</i>	
<i>II. წამებისგან და შეურაცხყოფისგან თავისუფლება</i>	
<i>..... 9</i>	
<i>III. თვითნებური დაკავება</i>	
<i>..... 10</i>	
<i>IV. გადაადგილების თავისუფლება</i>	
<i>..... 12</i>	
<i>V. უფლება საკუთრებაზე</i>	
<i>..... 14</i>	
<i>VI. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება</i>	
<i>... 15</i>	

VII. დასკვნა
16

VIII. მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობას
..... 18

1. შესავალი

2. ანგარიშის მიზნები და გამოყენებული მეთოდოლოგია

1. 2015 წლის იანვარში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიწყო კვარტალური ანგარიშების მომზადება, რაც მიზნად ისახავს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სიტუაციის შეფასებას. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე რვა ამგვარი ანგარიში მოამზადა: ოთხი 2015 წელს და ოთხი 2016 წელს (იხილეთ: <http://www.mfa.gov.ge/Occupied-Territories.aspx>). ეს გახლავთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2017 წლის პირველი კვარტალური ანგარიში, რომელიც მოიცავს 2017 წლის იანვარ - მარტის პერიოდს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შემდგომშიც განაგრძობს მსგავსი კვარტალური ანგარიშების მომზადებას. ეს ანგარიშები ემსახურება საერთაშორისო საზოგადოებისთვის, სახელმწიფოებისთვის, სამთავრობოთაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის რეგულარული და განახლებული ინფორმაციის მიწოდებას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ.

2. რაც შეეხება გამოყენებულ მეთოდოლოგიას, ეს საანგარიშო პროექტი აერთიანებს და აანალიზებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ არსებულ სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ღია წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციას. ფორმატის შეზღუდულობის გამო, ანგარიში არ ისახავს მიზნად საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევის აღწერას; ის მიზნად ისახავს მხოლოდ ყველაზე მეტად გახმაურებული დარღვევების შეგროვებას და მათ შეფასებას. გამოყენებული მეთოდოლოგია არ გულისხმობს არც ფაქტების დასადგენად გამიზნულ ვიზიტს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში და არც იქ

ინტერვიუების ჩატარებას. ამრიგად, გამოყენებული მეთოდოლოგია არ აძლევს ამ საანგარიშო კამპანიას იმის საშუალებას, რომ შეაგროვოს და მოიძიოს ახალი მონაცემები საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ.

საოკუპაციო ხელისუფლების პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო

3. საქართველოს ორი რეგიონი - აფხაზეთი/საქართველო და ცხინვალის რეგიონი/საქართველო, ამჟამად ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ და რუსეთის ფედერაცია, როგორც საოკუპაციო ხელისუფლება, ახორციელებს ქმედით კონტროლს აფხაზეთზე/საქართველო და ცხინვალის რეგიონზე/საქართველო. ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული მდგომარეობა ამ ორ რეგიონში მეტად საგანგაშოა და ეს ორი რეგიონი წარმოადგენს საფრთხის შემცველ „შავ ხვრელებს“ ადამიანის უფლებათა დარღვევის და დამრღვევთა პასუხისმგებლობის კონტექსტში. საოკუპაციო ხელისუფლება ახორციელებს რა კონტროლს ამ რეგიონებზე, ხელს უშლის საერთაშორისო ორგანიზაციების შესვლას აფხაზეთში/საქართველო და ცხინვალის რეგიონში/საქართველო.

4. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია „საქართველოსთან თანამშრომლობის“ შესახებ.¹ რეზოლუციის თანახმად, სერიოზული შემფოთებაა გამოთქმული „საერთაშორისო და რეგიონალური მონიტორებისთვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა მექანიზმების ჩათვლით, ორივე ქართულ რეგიონში (აფხაზეთი/საქართველო და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი/საქართველო) შესვლაზე განმეორებითი უარის თქმის გამო ამ რეგიონების მაკონტროლებელი ძალების მიერ“. რეზოლუციაში შემფოთება გამოთქმულია აგრეთვე „საქართველოს ამ რეგიონებში არსებული ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სიტუაციის თაობაზე“ (აფხაზეთი/საქართველო და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი/საქართველო). რეზოლუციაში გაჟღერებულია წუხილი იმის თაობაზე, რომ „ორივე რეგიონში ადგილი აქვს ადამიანების გატაცებას, თვითნებურ დაკავებას, საკუთრების საკითხებში ჩარევას, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, თავისუფლად გადაადგილებისა და ბინადრობაზე უფლების შეზღუდვას, ისევე როგორც ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას“. რეზოლუციაში გამოთქმულია

¹ „საქართველოსთან თანამშრომლობა“ - რეზოლუცია მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ 2017 წლის 24 მარტს 34-ე სესიაზე (27 თებერვალი-24 მარტი 2017), A/HRC/RES/34/37.

შემფოთება აგრეთვე იმის თაობაზე, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირებს და ლტოლვილებს ჩამორთმეული აქვთ თავიანთ სახლებში უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნების უფლება.“ რეზოლუცია სცნობს „ამ კონტექსტში უმაღლესი კომისრის სამსახურისთვის პერიოდული ანგარიშის მიწოდების მნიშვნელობას და აუცილებლობას, საქართველოს ორივე რეგიონში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სიტუაციის ობიექტურ და მიუკერძოებელ შეფასებას,... და მოუწოდებს უმაღლესი კომისრის სამსახურს, საერთაშორისო და რეგიონალური ადამიანის უფლებათა მექანიზმები დაუყოვნებლივ შეუშვან აფხაზეთში/საქართველო და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთი/საქართველო.² 2017 წლის 24 მარტს, ქალბატონმა ბარონესა ანელიმ, დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის სამსახურის სახელმწიფო მინისტრმა, კომენტარი გააკეთა ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის „თანამშრომლობა საქართველოსთან“ თაობაზე და განაცხადა: “მე მივესალმები რეზოლუციის მიღებას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არსებული სიტუაციის თაობაზე. იქ არსებული მდგომარეობა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ღრმა შემფოთებას იწვევს. უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებს დე-ფაქტო ხელისუფლება უარს ეუბნება ამ უკიდურეს იზოლაციაში მყოფ ტერიტორიებზე შესვლაზე.“³

5. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და კერძოდ კი 2017 წლის 26 იანვარს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 2149 (2017) „ასამბლეის მონიტორინგის პროცედურის გაუმჯობესების თაობაზე (სექტემბერი - დეკემბერი 2016) და ავსტრიის, ჩეხეთის რესპუბლიკის, დანიის, ფინეთის, საფრანგეთისა და გერმანიის მიერ მოვალეობის შესრულების პერიოდული განხილვის თაობაზე.“ რეზოლუციის მე-10 პარაგრაფში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ წუხილი გამოთქვა ზოგიერთ ქვეყანაში არსებული ხარვეზების შესახებ და რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში აღნიშნა: „აფხაზეთის/საქართველო და სამხრეთ ოსეთის/საქართველო ოკუპაცია და სამართლებრივად აღიარება არღვევს *inter alia*, საერთაშორისო კანონს, ევროპის საბჭოს საკანონმდებლო ნორმებსა და ხელს უშლის ვალდებულების შესრულებას.“ რეზოლუციის მე-11 პარაგრაფში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მოუწოდა რუსეთის ფედერაციის ხელისუფალთ... შეწყვიტონ ქართული

² “საქართველოსთან თანამშრომლობა“ - რეზოლუცია მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ 2017 წლის 24 მარტს 34-ე სესიაზე (27 თებერვალი-24 მარტი 2017), A/HRC/RES/34/37.

³ გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო და საგარეო და თანამეგობრობის სამსახურის მინისტრი ბარონესა ანელი მიესალმება გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ 2017 წლის 24 მარტს მიღებულ გადაწყვეტილებას, იხილეთ: <<https://www.gov.uk/government/news/baroness-anelay-welcomes-conclusions-of-un-human-rights-council--4>>

რეგიონების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეთნიკური წმენდა და ოკუპაცია და საერთაშორისო მონიტორინგის დართონ ადგლზე შესვლის ნება.“⁴

6. ამ ბოლო პერიოდში ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა გამოაქვეყნა 15-ე კონსოლიდირებული ანგარიში საქართველოში არსებული კონფლიქტური სიტუაციის თაობაზე და აღწერა, *inter alia*, აფხაზეთში/საქართველო და სამხრეთ ოსეთში/საქართველო ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სიტუაცია, რომელიც მოცავს 2016 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის მარტამდე პერიოდს. ამგვარად, ევროპის საბჭოს ანგარიშის ნაწილი მლთიანად ფარავს საანგარიშო პერიოდის საანგარიშო კამპანიას⁵. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს სამდივნოს დელეგაციამ 2017 წლის 20-21 თებერვალს ფაქტების დასადგენი ვიზიტი განახორციელა საქართველოში და მიუხედავად ამისა, ის არ შეუშვეს აფხაზეთში/საქართველო და ცხინვალის რეგიონში/ სამხრეთ ოსეთში/საქართველო⁶ კონსოლიდირებული ანგარიშის თანახმად, „სამწუხაროდ, წინა ანგარიშის შემდგომ პერიოდშიც, არანაირი გაუმჯობესება არ შეიმჩნევა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების სოხუმსა და ცხინვალში შესვლის კონტექსტში,⁷ ევროპის საბჭოს მექანიზმების ჩათვლით. კონსოლიდირებულ ანგარიშში ხაზგასმულია, რომ „განსახილველ პერიოდში არანაირი გაუმჯობესება არ შეიმჩნევა იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) და ლტოლვილების ნებაყოფლობითი, უსაფრთხო, ღირსეული და შეუფერხებელი დაბრუნების თაობაზე საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების საფუძველზე“. კონსოლიდირებული ანგარიშის თანახმად, „აფხაზეთში დე ფაქტო ხელისუფლებამ შემოიღო ახალი შეზღუდვები და ორივე ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გაყოლებაზე გრძელდება პერიოდული დაკავებები, რაც აღძრავს სერიოზულ შემფოთებას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ადამიანის უფლებათა უსაფრთხოების სფეროზე მათი უარყოფითი ზეგავლენის გამო... ახალი კანონები სავარაუდოდ განსაკუთრებით შემამფოთებელ ზეგავლენას ახდენენ სკოლის მოსწავლეებზე და ჰუმანიტარულ დახმარებაზე. საზღვრის გადასასვლელი ზოგიერთ ადგილას 50 კილომეტრზე არის გადაჭიმული. უფრო მეტიც, სხვა გამშვები პუნქტის დაკეტვაც

⁴ ასამბლეის მონიტორინგის პროცედურის გაუმჯობესება (სექტემბერი-დეკემბერი 2016) და ავსტრიის, ჩეხეთის რესპუბლიკის, დანიის, ფინეთის, საფრანგეთისა და გერმანიის მიერ მოვალეობის შესრულების თაობაზე მიმოხილვის გაკეთება.“ რეზოლუცია 2149 (2017), 2017 წლის 26 იანვარი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, პარაგრაფები 10.7 და 11.7.“

⁵ 2017 წლის იანვარი -მარტი.

⁶ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიში საქართველოში არსებული კონფლიქტის თაობაზე (ოქტომბერი 2016 – მარტი 2017), 2016, SG/Inf (2017)18, პარაგრაფები 4 and 5.

⁷ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიში საქართველოში არსებული კონფლიქტის თაობაზე (ოქტომბერი 2016 – მარტი 2017), 2016, SG/Inf (2017)18, პარაგრაფები 35.

⁸ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიში საქართველოში არსებული კონფლიქტის თაობაზე (ოქტომბერი 2016 – მარტი 2017), 2016, SG/Inf (2017)18, პარაგრაფები 60.

მზადდება, რაც გამოცხადებული იქნება მომავალში და ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალში გამშვები პუნქტი, მხოლოდ ენგურის ხიდი იქნება.⁹

7. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და კერძოდ კი, 2017 წლის 9 მარტს, გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტმა გამოსცა „საქართველოს შესახებ მეოთხე პერიოდული ანგარიშის შემაჯამებელი დაკვირვებები.“ შემაჯამებელ დაკვირვებებში ბავშვთა უფლებების კომიტეტმა აღნიშნა:“ აფხაზეთი/საქართველო და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი/საქართველო რჩება მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის მიღმა, რაც კონვენციის ამ რეგიონებში დანერგვისთვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს. კომიტეტი მიესალმება მონაწილე ქვეყნის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რათა მხარი დაუჭიროს ჯანდაცვისა და განათლების მომსახურებას ამ რეგიონებში. მიუხედავად ამისა, ის შემფოთებულია იმ შეზღუდვებით, რომელსაც ადგილი აქვს ამ რეგიონებში გადაადგილების თავისუფლებასთან, ხარისხიანი ჯანდაცვის მომსახურების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, დევნილი (იგპ) ბავშვების კონტექსტში და ამ რეგიონებში ეთნიკური ნიშნით გამუდმებული დისკრიმინაციის გამო.“¹⁰

8. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და კერძოდ კი 2017 წლის 3 მარტს, ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ქვეყნის ანგარიშები ადამიანის უფლებათა სფეროში 2016 წელს არსებული მდგომარეობის შესახებ.¹¹ ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2016 წელს ადამიანის უფლებების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, „რუსეთის და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფალნი, უზღუდავენ საერთაშორისო ორგანიზაციებს შესაძლებლობას იმოქმედონ აფხაზეთში, ხოლო რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფალნი უზღუდავენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ჰუმანიტარული ორგანიზაციების ჩათვლით, რეგულარულ შესვლას სამხრეთ ოსეთში; ... წლის მანძილზე მოხსენებული ყველაზე მნიშვნელოვანი დარღვევა ადამიანის უფლებების სფეროში მოიცავს: თვითნებურ დაკავებას და რუსეთისა და დე ფაქტო ხელისუფალთა მიერ ქართული მოსახლეობის სიცოცხლის ხელყოფას ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციული სასაზღვრე ხაზის გაყოლებით, ... ორივე ოკუპირებული რეგიონის - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული სასაზღვრე ხაზის გაყოლებაზე ადამიანების გატაცების არაერთი

⁹ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიში საქართველოში არსებული კონფლიქტის თაობაზე (ოქტომბერი 2016 – მარტი 2017), 2016, SG/Inf (2017)18, პარაგრაფები 14 და 43.

¹⁰საქართველოს შესახებ მეოთხე პერიოდული ანგარიშის შემაჯამებელი დაკვირვებები, გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტი, 2017 წლის 9 მარტი, პარაგრაფი 4, CRC/C/GEO/CO/4.

¹¹ საქართველო 2016, ანგარიში ადამიანთა უფლებების თაობაზე, ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტი, გამოქვეყნებულია 2017 წლის 3 მარტს, იხილეთ: <https://www.state.gov/documents/organization/265634.pdf>

შემთხვევაა დაფიქსირებული, ... რუსეთის მესაზღვრეები ზღუდავენ ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილებას.“¹²

9. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და კერძოდ კი 2017 წლის 22 თებერვალს, საერთაშორისო ამნისტიამ გამოაქვეყნა თავისი ანგარიში 2016/2017: ადამიანის უფლებათა მსოფლიოში არსებული ვითარება.¹³ საერთაშორისო ამნისტიის თანახმად, “დე ფაქტო ხელისუფალნი და რუსეთის ძალები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში აგრძელებენ ადმინისტრაციულ სასაზღვრე ხაზზე გადაადგილების შეზღუდვას და აკავებენ ათობით ადამიანს“.¹⁴

10. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და კერძოდ კი 2017 წლის 10 თებერვალს, საქართველოს სახალხო დამცველმა გამოაქვეყნა საგანგებო ანგარიში ქალებისა და ბავშვების მდგომარეობაზე კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში (2014 - 2016 წლების მიმოხილვა). ანგარიშის თანახმად, ადამიანის უფლებათა სიტუაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შემამფოთებელი რჩება ქალთა და ბავშვთა უფლებების დარღვევის სფეროში, უფრო ზუსტად კი ადამიანის უფლებათა დარღვევა სახეზეა ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით; ასევე შეიძლება ჩამოითვალოს შემდეგი: ადრეული ქორწინებები; ღირსების შელახვა, მკვლელობა (ოჯახის წევრების მიერ ქალის ან გოგონას მოკვდინება მრუმობის აქტის ჩადენის გამო); ბავშვების სიღარიბე; არაადეკვატური დოკუმენტაცია და მასთან დაკავშირებული უფლებების დარღვევა; ბავშვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები; უკანონოდ დაკავება და შეუსაბამო და დამამცირებელი მოპყრობა; მშობლიურ ენაზე განათლების მიღებასთან და ხარისხიან განათლების მიღებასთან დაკავშირებული საკითხები; და უნარშეზღუდული ბავშვების უფლებების პრობლემები. საქართველოს სახალხო დამცველმა თავის ანგარიშში ქალთა და ბავშვთა უფლებების თაობაზე კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში (2014-2016 წლების მიმოხილვა) მოუწოდა „რუსეთის ფედერაციასა და დეფაქტო ხელისუფალთ უზრუნველყონ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების და საერთაშორისო მისიების შეუზღუდავი ქმედება“.¹⁵

¹² საქართველო 2016, ანგარიში ადამიანთა უფლებების თაობაზე, ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტი, გამოქვეყნებულია 2017 წლის 3 მარტს, იხილეთ: <https://www.state.gov/documents/organization/265634.pdf> გვერდები 23-24, 1, 2 და 3.

¹³ საერთაშორისო ამნისტიის ანგარიში 2016/2017: ადამიანის უფლებათა მსოფლიოში არსებული ვითარება (საქართველო 2016/2017), გამოქვეყნებული 2017 წლის 22 თებერვალს. იხილეთ: www.amnesty.org/en/countries/europe-and-central-asia/georgia/report-georgia/

¹⁴ საერთაშორისო ამნისტიის ანგარიში 2016/2017: ადამიანის უფლებათა მსოფლიოში არსებული ვითარება (საქართველო 2016/2017), გამოქვეყნებული 2017 წლის 22 თებერვალს. იხილეთ: www.amnesty.org/en/countries/europe-and-central-asia/georgia/report-georgia/

¹⁵ საქართველოს სახალხო დამცველის საგანგებო ანგარიშში ქალთა და ბავშვთა უფლებების თაობაზე კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში (2014-2016 მიმოხილვა), 2017 წლის 10 თებერვალი, გვერდები 35-60, იხილეთ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4459.pdf>

11. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და კერძოდ კი 2017 წლის 17 მარტს, ინტერპოლმა გამოაქვეყნა ბატონი რაშიდ ქანჯი-ოლლის დაპატიმრების საერთაშორისო ორდერი.¹⁶ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და კერძოდ კი 2017 წლის 10 მარტს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მიმალვაში მყოფ ბატონ რაშიდ ქანჯი-ოლლის 14 წლამდე გაუზარდა პატიმრობის ვადა.¹⁷ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის დეკემბერში, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, *in absentia* (დაუსწრებლად), რომ მიმალვაში მყოფი ბატონი რაშიდ ქანჯი-ოლლი დამნაშავეა მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლებრივ ქმედებაში და მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.¹⁸ ეს შემთხვევა სიცოცხლეზე უფლების დარღვევას წარმოადგენს და, კერძოდ, კი 2016 წლის 19 მარტს ბატონი გიგა ოთხოზორია მოკლეს აფხაზეთის საოკუპაციო ხაზთან განთავსებულმა ე.წ. „მესაზღვრეებმა“. „მკვლელობა, საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში მოხდა. მკვლელობის ჩადენის მერე ბატონი რაშიდ ქანჯი-ოლლიმ და მისმა თანამზრახველებმა მყისიერად შეაფარეს თავი აფხაზეთის ტერიტორიას. არსებული ვითარების მიუხედავად, ბატონი რაშიდ ქანჯი-ოლლი და მისი თანამზრახველები ჯერ ისევ დაუსჯელები არიან. ზემოთ აღწერილი სიტუაცია ბატონი გიგა ოთხოზორიას სიცოცხლეზე უფლების დარღვევის კონტექსტში კიდევ ერთხელ ახდენს იმ ფაქტის დემონსტრირებას, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები რჩება „შავ ხვრელებად“ ადამიანის უფლებათა დამრღვევთა პასუხისმგებლობასთან მიმართებაში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 15-ე კონსოლიდირებული ანგარიშის თანახმად, „დელეგაციას ეუწყა, რომ ზოგადი დაუცველობის განცდა, მომხდარის მერე მყარად დამკვიდრდა ხურჩის მოსახლეობაში.“¹⁹

¹⁶ ინტერპოლმა გამოაქვეყნა ბატონი რაშიდ ქანჯი - ოლლის დაპატიმრების საერთაშორისო ორდერი ბატონი გიგა ოთხოზორიას მკვლელობის გამო, „ფორტუნე“, 2017 წლის 17 მარტი, იხილეთ: <<http://fortuna.ge/giga-otkhozorias-mkvllobistvis-msjavrdebul-rashid-kanjioghlice-interpolis-mier-dzebnagamoekhadda/>>

¹⁷ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ამდინებს გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში დადანაშაულებული რაშიდ ქანჯი -ოლლის განაჩენს, საქართველოს ბრალმძებლის სამსახური, 2017 წლის 10 მარტი, იხილეთ: <http://pog.gov.ge/eng/news?info_id=1157>

¹⁸ სასამართლო დამნაშავედ მიიჩნევს ბატონ რაშიდ ქანჯი-ოლლის გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში, საქართველოს ბრალმძებლის სამსახური, 2016 წლის 28 დეკემბერი, იხილეთ: http://pog.gov.ge/eng/news?info_id=1095>

¹⁹ კონსოლიდირებული ანგარიში საქართველოში არსებული კონფლიქტის შესახებ, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი (ოქტომბერი 2016 – მარტი 2017), 2016, SG/Inf (2017)18, პარაგრაფი 38.

საოკუპაციო ხაზი და მავთულხლართებისა და ახალი ბანერების/ნიშნულების მონტაჟი.

12. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან გამავალი ადმინისტრაციული საზღვარი საქართველოს მისი ორი ოკუპირებული ტერიტორიისგან გამოჰყოფს.

13. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის საქართველოში არსებული კონფლიქტის თაობაზე, 15-ე გაერთიანებული ანგარიშის თანახმად, საერთაშორისო საზოგადოება მყარად რჩება თავის პოზიციაზე ე.წ. „საზღვრის გაყვანის“ თაობაზე და გამოთქვამს უკმაყოფილებას ადგილობრივ მოსახლეობაზე ამ პროცესის ზეგავლენის გამო, განსაკუთრებით კი ეს ეხება, მათი თავისუფლად გადაადგილების პრობლემას, საარსებო სახსრების შოვნას და უსაფრთხოებას.²⁰ გაერთიანებული ანგარიშის თანახმად, „თავისუფლად გადაადგილებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს ე.წ. „საზღვრის გაყვანის“ პროცესი, რომლის შედეგადაც საქართველოს ცენტრალური მთავრობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აფხაზეთის რეგიონის საზღვრის გაყოლებაზე აღიმართა 48 კილომეტრის სიგრძის ღობე... ე.წ. „საზღვრის გაყვანას“ შედეგად მოყვა 52 კილომეტრიანი ღობეებისა და მავთულხლართების აღმართვა ცხინვალის რეგიონთან არსებულ საზღვარზე, ხოლო თხრილებისა და ღმრა ორმოების გათხრა ადმინისტრაციული სასაზღვრე ხაზის გასწვრივ გრძელდებოდა მიმოხილვის პერიოდის განმავლობაშიც.²¹

14. ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად 2016 წელს არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე ანგარიშის თანახმად, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოქვეყნდა, „რუსეთის მიერ 2016 წლის განმავლობაში ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციული სასაზღვრე ხაზის გასწვრივ „საზღვრის გაყვანა“ გამოჰყოფს და დააშორებს ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარი თემისგან და ხელს უშლის საცხოვრებელად აუცილებელი სახსრების მოპოვებაში... შეზღუდვებმა გაამწვავა რუსეთის მიერ „საზღვრის გაყვანის“ პროცესი ორივე ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ, ისევე როგორც კიდევ უფრო მეტად შეზღუდა გადაადგილების შესაძლებლობა, აღმართა ფიზიკური წინაღობები და გაართულა სოფლის სამეურნეო მიწებზე შესვლა, წყლით მომარაგება და სასაფლაოებზე შესვლა.“²²

²⁰ კონსოლიდირებული ანგარიში საქართველოში არსებული კონფლიქტის შესახებ, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი (ოქტომბერი 2016 – მარტი 2017), 2016, SG/Inf (2017)18, პარაგრაფი 53.

²¹ კონსოლიდირებული ანგარიში საქართველოში არსებული კონფლიქტის შესახებ, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი (ოქტომბერი 2016 – მარტი 2017), 2016, SG/Inf (2017)18, პარაგრაფი 42 და 51.

²² საქართველო 2016, ანგარიში ადამიანის უფლებათა შესახებ, ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტი, გამოქვეყნებულია 2017 წლის 3 მარტს იხილეთ: <<https://www.state.gov/documents/organization/265634.pdf>>, pages 2 and 24

15. 2016/2017 საერთაშორისო ამნისტიის მსოფლიოში არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიშის თანახმად, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოქვეყნდა, “აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფილი რეგიონების ადმინისტრაციული სასაზღვრე ხაზების გასწვრივ მიმდინარე ღობის მშენებლობას კიდევ უფრო მეტად უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ეკონომიურ და სოციალურ უფლებებზე.”²³

16. 2017 წლის 10 იანვარს, სიენენ-მა გამოაქვეყნა სტატია, რომელიც აღწერს საოკუპაციო ხაზის მიერ გამოწვეულ პრობლემებს.²⁴ სტატიის თანახმად, „ევროპის საბჭოს მონიტორინგის მისია ახდენს საქართველოსა და მისგან გამოყოფილი რეგიონების სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის არსებული ადმინისტრაციული სასაზღვრე ხაზების პატრულირებას. ბოლო წლებში, მონიტორები ამბობენ, რომ ხაზმა წინ წაიწია და ჩაყლაპა სოფლის სამეურნეო მიწები. “ბევრ ადგილას ხალხმა არც იცის, სად გადის საზღვარი,“ - უთხრა სიენ-ენს ევროპის საბჭოს მონიტორინგის მისიის თავმჯდომარემ ქესტუტის ჯანკაუსკასმა. „ის (საზღვარი) არსებობს, მაგრამ ეს არ არის ოფიციალური. ეს არის საზღვრის არამყარი ცნება.” ზოგჯერ რუსული სამხედრო ნაწილები იყენებენ ალესილ მავთულხარეთებს იმ ადგილის აღსანიშნად, რომელიც საზღვრად მიაჩნიათ; სხვა ადგილებში ისინი აყენებენ მწვანე ნიშნებს, რომელსაც ქართულად და ინგლისურად აწერია „გადასვლა აკრძალულია.“ ხშირად მხოლოდ ასეთი ნიშნები დგას, რაც იწვევს მოსახლეობის დაბნეულობას, რომელიც ჩივის, რომ ისინი დააკავეს და დააჯარიმეს საზღვრის შემთხვევით გადაკვეთისთვის. ამ წელს, რუსებმა ორი სანგარი გათხარეს ხილის საუკეთესო ბაღებში იმ მიზეზით, რომ ეს სახანძრო უსაფრთხოებისთვის იყო საჭირო, მაგრამ ამ თხრილზე გადასული ქართველები დააკავეს. “ჩვენ არ ვიცით სად და რამდენად შორს შეიძლება გადაიწიოს ამ ხაზმა, იმიტომ რომ ეს საკითხი შეთანხმების გარეშე წყდება.” - განმარტავს ჯანკაუსკასი და ამატებს, რომ ხაზის გაყვანა სავარაუდოდ საბჭოთა გენერალური შტაბის 1980 -იანი წლების ძველ რუკებს ეყრდნობა.”²⁵

²³ საერთაშორისო ამნისტიის ანგარიში 2016/2017: ადამიანის უფლებათა მსოფლიოში არსებული ვითარება (საქართველო 2016/2017), გამოქვეყნებული 2017 წლის 22 თებერვალს. იხილეთ: www.amnesty.org/en/countries/europe-and-central-asia/georgia/report-georgia/

²⁴ სახლში დაბრუნება იმისთვის, რომ აღმოაჩინო, რომ შენი სახლი სხვა ქვეყანაშია [Erin McLaughlin](http://edition.cnn.com/2017/01/09/europe/georgia-south-ossetia-russia-border/) and და სებასტიან შულკა, სიენენი, 2017 წლის 10 იანვარი, იხილეთ: <http://edition.cnn.com/2017/01/09/europe/georgia-south-ossetia-russia-border/>

²⁵ სახლში დაბრუნება იმისთვის, რომ აღმოაჩინო, რომ შენი სახლი სხვა ქვეყანაშია [Erin McLaughlin](http://edition.cnn.com/2017/01/09/europe/georgia-south-ossetia-russia-border/) and და სებასტიან შულკა, სიენენი, 2017 წლის 10 იანვარი, იხილეთ: <http://edition.cnn.com/2017/01/09/europe/georgia-south-ossetia-russia-border/>

ე.წ. ახალი :კანონები“ და „პასპორტიზაციის“ ახალი ტალღა.

17. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია „თანამშრომლობა საქართველოსთან“ მიღებულ იქნა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და შემფოთებას გამოხატავს „ორივე რეგიონში ეთნიკური ნიშნით მიმდინარე დისკრიმინაციის“ თაობაზე“.²⁶

18. უნდა გავიხსენოთ, რომ 2016 წლის 1 აპრილს, ე.წ. „აფხაზეთში მყოფი უცხოელი მოქალაქის სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ კანონის მიღება და „ აფხაზეთში შესვლაზე და გამოსვლაზე კანონი“, ძალაში შევიდა. მსგავსი დოკუმენტი მიიღო ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა და კერძოდ კი, „კანონი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესახებ“. ე.წ. „კანონების“ მიღება გამიზნულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქართულ მოსახლეობაზე. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში არსებული ქალთა და ბავშვთა უფლებების მდგომარეობის შესახებ საგანგებო მოხსენების თანახმად (2014-2016 წლების მიმოხილვა), რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოქვეყნდა, „გალის მოსახლეობის უმრავლესობას, ისევე როგორც ოჩამჩირისა და ტყვარჩელის თემებს არა აქვთ წვდომა იმ დოკუმენტაციასთან, რომლის საფუძველზეც ისინი თავისი უფლებების რეალიზებას შეძლებენ, ისეთის როგორცაა უფლება გადაადგილებაზე, კერძო საკუთრებაზე, განათლებაზე და ჯანდაცვაზე და სხვა.“²⁷

19. როგორც „პასპორტიზაციის“ ახალი ტალღის ნაწილი, აფხაზეთში ე.წ. „პასპორტების“ გამოშვება 2016 წლის მაისში დაიწყო და გაგრძელდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.²⁸ საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის, 12 000 ე.წ. „პასპორტი“ იქნება გამოშვებული.²⁹ 2017 წლის ბოლოსთვის სულ 100 000 ე.წ. პასპორტის“ გამოშვება იგეგმება.³⁰ რაც შეეხება ცხინვალის რეგიონის ე.წ.

²⁶ „თანამშრომლობა საქართველოსთან“, რეზოლუცია მიღებულია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ, 2017 წლის 24 მარტს, 34-ე სესიაზე (27 თებერვალი -24 მარტი 2017), A/HRC/RES/34/37.

²⁷ საქართველოს სახალხო დამცველი, საგანგებო მოხსენება საქართველოს კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ქალთა და ბავშვთა უფლებების მდგომარეობის შესახებ (2014-2016 წლების მიმოხილვა), 10 თებერვალი გვ. 51, იხილეთ at <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4459.pdf>

²⁸ ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. პასპორტების გამოშვება 27 მარტს განახლდება,“პირველი საინფორმაციო სააგენტო“, 2017 წლის 24 მარტი, იხილეთ: at <http://www.pia.ge/post/110489-okupirebul-afxazetsi-e-w-pasportebis-gacema-27-martidan-ganaxldeba>

²⁹ პასპორტების ადმინისტრაცია განახლებს ახალი აფხაზეთის პასპორტების გამოშვებას,“აფსნი“ , 2017 წლის 28 მარტი, იხილეთ: http://apsny.ru/news/?ID=28310&PAGEN_1=2

³⁰ ასლან კობახია: ახალი პასპორტების გამშვება 27 მარტს განახლდება,“ აფსნიპრესი“ 2017 წლის 12 მარტი, იხილეთ: <http://www.apsnypress.info/news/aslan-kobakhiya-vydacha-novykh-pasportov-vozobnovitsya-s-27-marta/>

„პასპორტიზაციას“, 2016 წლის განმავლობაში ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის მიერ 3 114 ე.წ. „პასპორტი“ იქნა გამოშვებული.³¹

20. ე.წ. „ახალი „კანონების“ და ე.წ. „პასპორტიზაციის“ საკითხზე საერთაშორისო საზოგადოებრიობის რეაგირების შედეგად, 2016 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ე.წ. „აფხაზეთში მცხოვრები უცხოელი მოქალაქეების სტატუსში“ შესწორების შეტანისა და საქართველოს მოქალაქეობის მქონე გალის რაიონის მკვიდრი მოსახლეობისთვის „ბინადრობაზე უფლების“ მიღების ნებართვის თაობაზე.³² უფრო ზუსტად, „2016 წლის დეკემბერში აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა დე ფაქტო კანონში უცხოელი მოქალაქის სტატუსთან დაკავშირებით, რომელიც არეგულირებს სხვა უფლებებთან ერთად გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის სტატუსსა და უფლებებს. ახალი ცვლილებები, არსებული ინფორმაციის თანახმად, ითვალისწინებს იმას, რომ საქართველოს მოქალაქეობის მქონე გალის რაიონის მკვიდრი მოსახლეობა მიიღებს“ ბინადრობაზე უფლებას“, თუმცა გასაგებია, რომ ეს ცვლილებები არ ეხება ყველა მნიშვნელოვან საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ველოდებით, რომ ერთი სახის გაუმჯობესება შესაძლოა შეეხოს ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთას, არსებობს გაურკვევლობა სხვა უფლებებთან მიმართებაში, რომელიც მიზნულია მუდმივი მაცხოვრებლის სტატუსთან და საკუთრებაზე უფლებასთან.³³ უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. „ბინადრობაზე უფლების“ მოწმობის გაცემა საქართველოს მოქალაქეობის მქონე გალის მკვიდრი მოსახლეობისთვის არ დაწყებულა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.³⁴

II. წამებისა და ცუდად მოპყრობისგან თავისუფლება

21. როგორც აღწერილია, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კვარტალურ ანგარიშში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სიტუაციის შესახებ, რუსეთის ეფესბეს თანამშრომლები და სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლები რეგულარულად ახორციელებენ წამებისა და ცუდად მოპყრობის ქმედებებს.

³¹ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი აქვეყნებს გამომშვებული პასპორტების რაოდენობას, “ოსეთის სპუტნიკი“, 2017 წლის 12 მარტი, იხილეთ: http://sputnik-ossetia.ru/South_Ossetia/20170312/3829571.html

³² ბინადრობაზე უფლება მიეცემათ გალში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, „აფსნი“, 2016 წლის 29 დეკემბერი, იხილეთ: <http://apsny.ru/news/?ID=26462>

³³ საქართველოში არსებული კონფლიქტის თაობაზე ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ გაკეთებული გაერთიანებული ანგარიში ³³ (ოქტომბერი 2016 – მარტი 2017), 2016, SG/Inf (2017)18, პარაგრაფები 45-46.

³⁴ აფხაზეთში მცხოვრები ქართველები ახალ სტატუსს იღებენ *Georgians „პირველი საინფორმაციო სააგენტო“ 2017 წლის 30 მარტი, იხილეთ <http://pia.ge/post/111850-afxazetsi-mcxovreb-qartvelebs-axali-statusi-mianiwes>*

22. საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული წამებისა და ცუდად მოპყრობის პრაქტიკა საანგარიშო პერიოდის განმავლობაშიც შემფოთების საგნად რჩება, რაც დასტურდება საანგარიშო პერიოდში ან საანგარიშო პერიოდის შესახებ გამოქვეყნებულ სხვადასხვა მოხსენებაში.

23. ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა სფეროში 2016 წელს არსებული ვითარებაზე წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოქვეყნდა, „რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაკავებული ინდივიდები, რომლებიც მოგვიანებით საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე დაბრუნდნენ, ევროპის საბჭოს მონიტორინგის მისიას (ესმმ) აუწყებენ მათი პატიმრობისას მომხდარ ცუდად მოპყრობისა და შეურაცხყოფის ფაქტებს, ანთებული სიგარეტით მიყენებული დამწვრობებისა და ცემის ჩათვლით. ადამიანის უფლებათა დამკვირვებლების თანახმად, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ დაკავებული ინდივიდების ნახევარმა გამოსცადა ამა თუ იმ ფორმის შეურაცხყოფა... აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული ციხის პირობები კი სტანდარტს არ აკმაყოფილებს“.³⁵

24. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ 15-ე გაერთიანებული ანგარიშის თანახმად, რომელიც მოიცავს საანგარიშო პერიოდს, აფხაზეთის რეგიონში, როგორც წესი, დელეგაცია გამუდმებით იღებს ცუდად მოპყრობის შემთხვევების შესახებ შეტყობინებებს იმათგან, ვინც დააკავეს და „ჯარიმის“ გადახდის შემდეგ გამოუშვეს.“³⁶

25. საერთაშორისო ამნისტიის ადამიანის უფლებათა სფეროში მსოფლიოში არსებული მდგომარეობის შესახებ 2016/2017 წლების მოხსენების თანახმად, „დე ფაქტო ხელისუფალნი და რუსეთის ძალები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში აგრძელებენ... ათობით ადამიანის დაკავებას, რამდენიმე დაკავებული ჩივის წამებისა და ცუდად მოპყრობის და სხვა შეურაცხყოფის შესახებ, ცემის ჩათვლით, რომელიც მათ გამოსცადეს მათი ხანგრძლივი თვითნებურად დაკავების პერიოდში.“³⁷

³⁵ საქართველო 2016, მოხსენება ადამიანთა უფლებების მდგომარეობის შესახებ, ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტი, [გამოქვეყნებულია, 2017 წლის, 3 მარტს, იხილეთ: https://www.state.gov/documents/organization/265634.pdf](https://www.state.gov/documents/organization/265634.pdf), page 6 and 7.

³⁶ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ საქართველოში არსებული კონფლიქტის შესახებ გაკეთებული კონსოლიდირებული ანგარიში (ოქტომბერი 2016 – მარტი 2017), 2016, SG/Inf (2017)18, პარაგრაფი 44.

³⁷ საერთაშორისო ამნისტიის ანგარიში 2016/2017: ადამიანის უფლებათა მსოფლიოში არსებული მდგომარეობის შესახებ (საქართველო 2016/2017), გამოქვეყნებულია 2017 წლის 22 თებერვალს, იხილეთ: <https://www.amnesty.org/en/countries/europe-and-central-asia/georgia/report-georgia/>

26. 2017 წლის 23 თებერვალს 70 წლის ადგილობრივი მკვიდრი დააკავეს გორის რაიონის სოფელ გუგუნიანთკარის ცხინვალის რეგიონთან არსებული საოკუპაციო ხაზის ე.წ. „არალეგალურად გადაკვეთისთვის“. მისი დაკავება მოხდა მაშინ, როდესაც ის ფიხს აგროვებდა საოკუპაციო ხაზის მახლობლად მდებარე საკუთარ ეზოში. დაკავებული ცხინვალის მიმართულებით წაიყვანეს.³⁸ დაკავებულს პატიმრობაში ყოფნისას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.³⁹ განთავისუფლების შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ის დაუყოვნებლივ იქნა მოთავსებული გორის საავადმყოფოში.⁴⁰ სამედიცინო გამოკვლევის თანახმად დადგინდა, რომ მსხვერპლს ფიზიკური შეურაცხყოფის შედეგად თავის ტვინის შერყევა დაემართა.⁴¹

27. 2017 წლის 3 მარტს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებელი გაიტაცეს და აწამეს.⁴²

III. თვითნებური დაკავება

28. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ საანგარიშო პერიოდში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია „საქართველოსთან თანამშრომლობის“ შესახებ, გამოთქვამს შემოფოთებას „ორივე რეგიონში არსებული ადამიანების გატაცებისა და თვითნებური დაკავების ფაქტების თაობაზე.“⁴³

29. ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ადამიანის უფლებათა სფეროში 2016 წელს არსებული მდგომარეობის შესახებ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოაქვეყნა შემდეგი: „რუსეთის მესაზღვრეები აფხაზეთის ადმინისტრაციულ

³⁸ სოფელ გუგუნიანთკარის მახლობლად ე.წ. მესაზღვრეებმა დააკავეს 70 წლის ამირან გუგუტიშვილი, „იპნ“, 2017 წლის 25 თებერვალი, იხილეთ: <http://www.interpressnews.ge/ge/konfliqtebi/420542-sofel-gugutianthkarthan-ets-mesazghvreebma-70-tslis-amiran-gugutishvili-daakaves.html?ar=A>

³⁹ ექიმის ინფორმაციის თანახმად, ცხინვალის დაკავების ცენტრიდან განთავისუფლებულ ამირან გუგუტიშვილს თავის ტვინის შერყევა აღენიშნება, „იპნ“, 2017 წლის 28 თებერვალი, იხილეთ: <http://www.interpressnews.ge/ge/regioni/420865-egimis-informaciith-ckhinalis-izolatoridan-gathavisuflebul-70-tslis-amiran-gugutishvils-tvinis-sheryeva-aqvs.html?ar=A>

⁴⁰ ამირან გუგუტიშვილი ცხინვალის დაკავების ცენტრიდან განთავისუფლეს, „იმედი“, 2017 წლის 28 თებერვალი, იხილეთ: http://imedi.ge/index.php?rec_start=70&rec_start_nav=0&pg=shs&id_pr=10857&id=20

⁴¹ ექიმის ინფორმაციის თანახმად, ცხინვალის დაკავების ცენტრიდან განთავისუფლებულ ამირან გუგუტიშვილს თავის ტვინის შერყევა აღენიშნება, „იპნ“, 2017 წლის 28 თებერვალი, იხილეთ: <http://www.interpressnews.ge/ge/regioni/420865-egimis-informaciith-ckhinalis-izolatoridan-gathavisuflebul-70-tslis-amiran-gugutishvils-tvinis-sheryeva-aqvs.html?ar=A>

⁴² ოსეთის კვირა: შემქმნელის, ანუ იგივე ედუარდ კოკოითის მძიმე ბედნიერება, „ექო კავკასია“, 2017 წლის 3 მარტი, იხილეთ: <https://www.ekhokavkaza.com/a/28349475.html>

⁴³ „თანამშრომლობა საქართველოსთან“, რეზოლუცია მიღებულია გაეროს ადამიანის უფლებათა საჭოს მიერ, 2017 წლის 23 მარტს, 34-ე სესიაზე, იხილეთ: (27 თებერვალი-24 მარტი 2017), A/HRC/RES/34/37.

საზღვართან ინდივიდების დაჯარიმებითა და დაკავებულების განთავისუფლებით ახორციელებენ საზღვრის გადაკვეთის წესებს, რომელიც შემოტანილი იქნა დე ფაქტო ხელისუფალთა მიერ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან დაკავებულ ინდივიდებს რუსეთის მესაზღვრეები ხშირად გადასცემენ დე ფაქტო ხელისუფლებას.... არსებობს დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ეთნიკური ქართველების თვითნებურად დაკავების ფაქტები, კერძოდ კი ცხინვალსა და გალში, შესაბამისად სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონებში. დაკავებულები იუწყებიან, რომ მათ არ შეატყობინეს მათი დაპატიმრების მიზეზი და ის, თუ რატომ გადასცეს ისინი დე ფაქტო ხელისუფლების მხრალდებელს. ... ევროპის საბჭოს მონიტორინგის მისიამ სულ ცოტა ერთი შემთხვევის შესახებ მაინც შეგვატყობინა, თუ როგორ გადმოკვეთა საზღვარი და გადმოვიდა ინდივიდის დასაკავებლად საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის მესაზღვრე. ⁴⁴

30. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 15-ე კონსოლიდირებული ანგარიშის თანახმად, საქართველოს ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებმა გამოთქვეს შიში იმის თაობაზე, რომ ხანგრძლივი დაკავებები ისევ ძალაში შევა. ამ მხრივ, მათ კიდევ ერთხელ მიაპყრეს დელეგაციის ყურადღება ქართველი დევნილის (იგპ), გორის რაიონში მაცხოვრებელი (ბატონი გიორგი გიუნაშვილის) 2016 წლის ივნისში ე.წ. „საზღვრის არალეგალურად გადაკვეთისთვის“ დაკავების ფაქტზე, რომელსაც შემდგომ 2017 წლის 3 თებერვალს 20 წლით პატიმრობა მიესაჯა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს „იარაღის ვითომდა უკანონო შენახვის გამო“.⁴⁵ განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ 2017 წლის 3 თებერვალს ბატონ გიორგი გიუნაშვილს 20 წლით პატიმრობა ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მიესაჯა.⁴⁶ უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოს მოქალაქე ბატონი გიორგი გიუნაშვილი 2016 წლის 8 ივნისს დაკავებული იქნა რუსეთის ეფესბეს თანამშრომლების მიერ ე.წ. „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის“ ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო საზღვართან. თავდაპირველად, დაკავებულს ორი თვით პატიმრობა მიესაჯა ე.წ. „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის“. მიუხედავად ამისა, მოგვიანებით

⁴⁴ საქართველო 2016, მოხსენება ადამიანის უფლებათა შესახებ, ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტი, გამოქვეყნებულია, 2017 წლის, 3 მარტს, იხილეთ: <<https://www.state.gov/documents/organization/265634.pdf>>, pages 3-4.

⁴⁵ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიში საქართველოში არსებული კონფლიქტის გამო (ოქტომბერი 2016 – მარტი 2017), 2016, SG/Inf (2017)18, პარაგრაფი 56.

⁴⁶ საქართველოს უშიშროების სამსახური - საქართველოს უშიშროების სამსახური არ დაზოგავს ძალისხმევას, რომ ბატონი გიორგი გიუნაშვილი გაანთავისუფლოს უკანონო პატიმრობიდან, “იპნ“ 2017 წლის 5 თებერვალი, იხილეთ <http://www.interpressnews.ge/ge/konfliqtebi/417528-susi-sakhelmtsifo-usaftrhkhoebis-samsakhuri-giorgi-giunashvilis-ukanono-patimrobidan-dasakhsnelad-yvelafers-gaakethebs.html?ar=A>

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. მზრალდებელის სამსახურმა „სისხლის სამართლის“ საქმე აღძრა ბატონი გიორგი გიუნაშვილის წინააღმდეგ.⁴⁷

საქართველოს მთავრობას ბატონი გიორგი გიუნაშვილის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი უსაფუძვლოდ და შეთითხნილად მიაჩნია და მოითხოვს მის უპირობო განთავისუფლებას.⁴⁸

31. აგრეთვე მეტად შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს მოქალაქე ბატონი გიორგი ლუკავა ე.წ. სოხუმის ციხეში უკანონო პატიმრობაში რჩება. ბატონი გიორგი ლუკავა 2012 წელს დააკავეს ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში და უვადო პატიმრობა მიუსაჯეს.⁴⁹ საქართველოს მთავრობა ითხოვს ბატონი გიორგი ლუკავას უკანონო პატიმრობიდან დაუყოვნებელ განთავისუფლებას.⁵⁰

32. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უამრავი შემთხვევაა აღნუსხული საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში თვითნებური დაკავების შესახებ. ქვემოთ რამდენიმე მაგალითია მოყვანილი.

33. 2017 წლის 7 იანვარს ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო საზღვართან რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა მიმდებარე სოფლის ადგილობრივი მოსახლე დააკავეს. სოფლის მკვიდრი გაიტაცეს, მაშინ როდესაც ის უახლოვდებოდა ადგილობრივ ეკლესიას მართმადიდებლური შობის დღესასწაულის აღსანიშნად.⁵¹

34. 2017 წლის 27 იანვარს ქალაქ თბილისის მაცხოვრებელი ორი ქალბატონი რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა დააკვეს ე.წ. „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის“ ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო საზღვართან.⁵²

⁴⁷ ინციდენტების თავიდან აცილების და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრა გაიმართა ერგენტში, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახური, 2016 წლის 19 ივლისი, იხილეთ:

⁴⁸ საქართველოს უშიშროების სამსახური - საქართველოს უშიშროების სამსახური არ დაზოგავს ძალისხმევას, რომ ბატონი გიორგი გიუნაშვილი განთავისუფლოს უკანონო პატიმრობიდან, „იპნ“ 2017 წლის 5 თებერვალი, იხილეთ <http://www.interpressnews.ge/ge/konflikttebi/417528-susi-sakhelmtsifo-usaftrtkhoebis-samsakhuri-giorgi-giunashvilis-ukanono-patimrobidan-dasakhsnelad-yvelafers-gaakethebs.html?ar=A>

⁴⁹ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფალნი არ ადასტურებენ გიორგი ლუკავას დრანდის ციხიდან გადაყვანას, „პირველი საინფორმაციო სააგენტო“, 2016 წლის 15 ნოემბერი, იხილეთ: <http://pia.ge/post/99592-afxazetis-de-faqto-xelisufleba-giorgi-lukavas-drandidis-cixidan-gayvanis-faqts-ar-adasturebs>

⁵⁰ გალის ინციდენტების თავიდან აცილებისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მიერ გამართულ შეხვედრაზე გალში საქართველო ახმოვანებს სამ ძირითად საკითხს, „საქართველო დღეს“, 2017 წლის 23 თებერვალი, იხილეთ: <http://georgiatoday.ge/news/5909/Georgia-Raises-Three-Key-Issues-at-IPRM-Meeting-in-Gali>

⁵¹ 25 წლის მამაკაცი გაიტაცეს სოფელ ჯარიაშენიდან, „ინფო 9“, 2017 წლის 7 იანვარი, იხილეთ: <http://www.info9.ge/konflikttebi/163438-sofel-jariashenidan-25-tslis-mamakaci-gaitaces.html?lang=ka-GE>

⁵² თბილისის ორი მაცხოვრებელი რუსმა ოკუპანტებმა დააკვეს - დაკავება საოკუპაციო ხაზთან მოხდა „ნიუპოსტი“, 2017 წლის 1 თებერვალი, იხილეთ: <http://www.newposts.ge/?l=G&id=131238-%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94>

35. 2017 წლის 16 თებერვალს, ზუგდიდის რაიონის ქალაქ ანაკლიის მაცხოვრებელი, რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა დააკავეს ე.წ. „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის, აფხაზეთის რეგიონის საოკუპაციო ხაზთან ახლოს და წაუყენეს „სისხლის სამართლის“ ბრალდება ზემოთ დასახელებული მიზეზის გამო. მოგვიანებით დაკავებული გაანთავისუფლეს და აუკრძალეს აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრება, იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ „სისხლის სამართლის საქმის“ განხილვა მიმდინარეობს.⁵³

36. 2017 წლის 9 მარტს, სამი ქალი დააკავეს აფხაზეთის საოკუპაციო საზღვართან ე.წ. „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის“. ყველა მათგანი გადაიყვანეს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე „სოხუმის ე.წ. დაკავების ცენტრში“. როდესაც ქალბატონები დააკავეს, ისინი აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიემგზავრებოდნენ ნათესავის დაკრძალვაზე დასასწრებად.⁵⁴

IV. გადაადგილების თავისუფლება

37. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია „საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ“, მიღებულ იქნა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, რომელშიც „გადაადგილების თავისუფლებისა და ბინადრობის საკითხების თაობაზე შემფოთება გამოითქვა ... ორივე რეგიონთან მიმართებაში“.⁵⁵ ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტის 2016 წლის ადამიანთა უფლებების მდგომარეობის შესახებ მოხსენება გამოქვეყნდა საანგარიშო პერიოდში, რომელშიც ნათქვამია: “დე ფაქტო ხელისუფალნი და რუსეთის საოკუპაციო ძალები ზღუდავენ გადაადგილების თავისუფლებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში... დე ფაქტო ხელისუფალნი და რუსეთის ძალები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ რეგიონებში ზღუდავენ აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის ადმინისტრაციულ საზღვარზე გადაადგილების თავისუფლებას სამედიცინო დახმარების, საკენსიო მომსახურების, რელიგიური მსახურების და განათლების

[E1%83%91%E1%83%98,%20%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98](http://www.interpressnews.ge/ge/konfliktები/419265-rusma-okupantebma-samegreloshi-ets-sazghvris-ukanonod-gadavethis-braldebith-erthi-piri-daakaves.html?ar=A)

⁵³ რუსმა ოკუპანტებმა ერთი ადამიანი სამეგრელოში დააკავეს ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის, “იპნ”, 2017 წლის, 17 თებერვალი, იხილეთ:

<<http://www.interpressnews.ge/ge/konfliktები/419265-rusma-okupantebma-samegreloshi-ets-sazghvris-ukanonod-gadavethis-braldebith-erthi-piri-daakaves.html?ar=A>>;

⁵⁴ სამი ქალბატონი დააკავეს აფხაზეთის საოკუპაციო საზღვართან, “ნიუპოსტი”, 2017 წლის 14 მარტი, იხილეთ: <<http://www.newposts.ge/?l=G&id=134910-გ>

%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98,%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90>

⁵⁵ „საქართველოსთან თანამშრომლობა“, რეზოლუცია მიღებულია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ 2017 წლის 24 მარტს, 34-ე სესიაზე (27 თებერვალი-24 მარტი 2017), A/HRC/RES/34/37.

მისაღებად.⁵⁶ დამატებით, დადასტურებულია, რომ „ოჯახის წევრების დაშორება აქტუალურ საკითხად რჩება ცხინვალის რეგიონის ახალგორის ადგილობრივი მოსახლეობისთვის.“⁵⁷

38. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 15-ე კონსოლიდირებული ანგარიშის თანახმად,“ ყველაზე მეტი კრიტიკული შენიშვნა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (აფხაზეთის რეგიონში) ეკუთვნის ორი დამატებით გამშვები პუნქტის დაკეტვას ადმინისტრაციულ საზღვარზე და კერძოდ კი ხურჩა/ნაბაკევისა და მეორე - ოტობაია/ორსანტიის, დე ფაქტო ხელისუფლების მიერ 2016 წელს 28 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც ძალაში 2017 წლის 5 მარტს შევიდა.“⁵⁸ ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ დამატებითი გადასასველი პუნქტის დაკეტვამ საერთაშორისო საზოგადოებრიობის რეაგირება გამოიწვია, რომელმაც შეშფოთება გამოთქვა ორი დამატებითი გამშვები პუნქტის დაკეტვის თაობაზე და აღნიშნა ის უარყოფითი შედეგი, რომელიც ამ გადაწყვეტილებას მოყვა და აისახა ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებზე და მათი უფლებების მდგომარეობაზე, თავისუფლად გადაადგილების ჩათვლით. ქვემოთ მოყვანილია ამ რეაგირების რამდენიმე მაგალითი.

39. გაეროს გენერალური მდივნის პრეს-მდივანმა განაცხადა: “ ჩვენ ვწუხვართ ცოტა ხნის წინ გაცხადებული გეგმის გამო, დაიხუროს ორი დამატებითი გამშვები პუნქტი მდინარე ენგურზე, საქართველოში, რაც დამლუპველი იქნება თავისუფლად გადაადგილებისა და მოსახლეობის ზოგადი კეთილდღეობისთვის, რომლებიც ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს ცხოვრობენ, განსაკუთრებით კი გალის რაიონში მცხოვრები სკოლის ბავშვების ჩათვლით.“⁵⁹ გაეროს კოორდინატორ-რეზიდენტმა საქართველოში, განაცხადა, რომ აკრძალვებს მოყვა უარყოფითი შედეგები აფხაზეთში/საქართველო მცხოვრები ადამიანებისთვის. გადაადგილება უარესად გამკაცრდა, აფხაზეთის მოსახლეობას სულ უფრო მეტად უჭირს ჯანდაცვაზე და განათლებაზე წვდომა და ეკონომიკურ აქტივობაში და სოციალურ მოვლენებში მონაწილეობის მიღება, როგორცაა ქორწილები, პანაშვიდები და დაკრძალვები, საჯარო დღესასწაულები, ისევე როგორც საოჯახო შეკრებები. ეს ეხება განსაკუთრებით მათ, ვინც სასაზღვრო ხაზთან ახლოს ცხოვრობს. უნდა აღინიშნოს, რომ განათლება ბავშვებისთვის, რომლებიც სკოლის დასასწრებად საზღვარს კვეთენ,

⁵⁶ საქართველო 2016 ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ გაკეთებული მოხსენება, გამოქვეყნებულია 2017 წლის 3 მარტს, იხილეთ: <<https://www.state.gov/documents/organization/265634.pdf>>, pages 23-24.

⁵⁷ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის გაერთიანებული ანგარიში (ოქტომბერი 2016 – მარტი 2017), 2016, SG/Inf (2017)18, პარაგრაფი 57.

⁵⁸ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის გაერთიანებული ანგარიში (ოქტომბერი 2016 – მარტი 2017), 2016, SG/Inf (2017)18, პარაგრაფი 40.

⁵⁹ მდინარე ენგურზე გამშვები პუნქტების დახურვის შესახებ განცხადების პასუხად, სტეფან დუჯარიკი, გაეროს გენერალური მდივნის პრეს-მდივანი, 2017 წლის 27 თებერვალი, იხილეთ: <https://www.un.org/sg/en/content/sg/note-correspondents/2017-02-27/note-correspondents-response-questions>

რათა განათლება თავის მშობლიურ ენაზე მიიღონ, ხელმისაწვდომი აღარ იქნება“. ⁶⁰ ევროპის საბჭოს პრეს-მდივანმა აღნიშნა, რომ „საქართველოს სეპარატისტულ რეგიონთან - აფხაზეთთან არსებული ადმინისტრაციული საზღვრის გაყოფებით ყოველდღიურად ასობით ადამიანის მიერ გამოყენებადი ორი გამშვები პუნქტის ნაბაკევი-ხურჩა და მეორე ოტობაია-ორსანტია დაკეტვის შესახებ განცხადება დამლუპველი იქნება მოსახლეობის თავისუფლად გადაადგილებისთვის, ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები სკოლის ბავშვების ჩათვლით. ეს სავარაუდოდ გაზრდის ინციდენტების რისკს და განსაკუთრებით კი დაკავების რისკს.“⁶¹ საქართველოში მყოფი ევროპის საბჭოს მონიტორინგის მისია (ესმმ) სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს გამშვები პუნქტების დაკეტვის თაობაზე და ამ ნაბიჯის უარყოფით შედეგზე საუბრობს, რომელიც აისახება ადმინისტრაციული საზღვრის ახლოს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. განსაკუთრებული ხაზგასმა ეკუთვნის პრობლემას, რომელიც შეიქმნება სკოლის მოსწავლეებისა და პაციენტებისთვის, რომლებიც საზღვარს სამედიცინო მომსახურების მისაღებად კვეთენ.“⁶² ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) პრეს-მდივანმა განაცხადა: “ჩვენ ადგილზე დავაკვირდით ბოლო პერიოდის მოვლენებს. ჩვენ გვჯერა, რომ ამ გადაწყვეტილებას მოყვება მთელი რიგი ნეგატიური შედეგი და კერძოდ კი, ეს ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის თავისუფლად გადაადგილებაზე აისახება. ამგვარად, ჩვენ მოვუწოდებთ დიალოგისკენ, ისევე როგორც სწრაფი და პრაგმატული გადაწყვეტილებისკენ, იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ შემდგომი გართულება მოსახლეობის ყოველდღიური ყოფის სფეროში.“⁶³ ნატოს პრეს-მდივანი აცხადებს, რომ „მე შეწუხებული ვარ განცხადებით საქართველოს რეგიონის აფხაზეთის სასაზღვრო ხაზთან მდებარე ამ ორი გამშვები პუნქტის დაკეტვის თაობაზე. ამ გამშვები პუნქტების დახურვა, რომელიც ყოველდღიურად გამოიყენება ასობით მოქალაქის მიერ, უარყოფით ზეგავლენას მოახდენს არსებულ სიტუაციაზე და რეგიონის სტაბილურობაზე. ის შეზღუდავს გადაადგილების თავისუფლებას და ამით ზიანი

⁶⁰ გაერო პროტესტს გამოთქვამს მდინარე ენგურზე გამშვები პუნქტების დაკეტვის თაობაზე, „საქართველო დღეს“, 2017 წლის 26 იანვარი, იხილეთ: <<http://georgiatoday.ge/news/5681/UN-Speaks-Out-against-Inguri-River-Crossing-Closures>>

⁶¹ საქართველოს სეპარატისტული რეგიონის - აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გარშემო განვითარებული მოვლენების შესახებ, ევროპის საბჭოს პრეს-მდივანი, 2017 წლის 25 იანვარი, იხილეთ: <https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/21406/statement-latest-developments-along-administrative-boundary-line-georgias-breakaway-region_en>

⁶² ევროპის საბჭოს მონიტორინგის მისია მონაწილეობს გალის იპრმ 42-ე შეხვედრაში, 2017 წლის, 25 იანვარი, იხილეთ: https://www.eumm.eu/en/press_and_public_information/press_releases/5726/?print=yes

⁶³ ეუთოს ხელმძღვანელობა შეშფოთებულია განშვები პუნქტების დაკეტვასთან დაკავშირებით და ხაზს უსვამს უარყოფით შედეგებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ეუთოს ხელმძღვანელობა, 2017 წლის 7 მარტი, იხილეთ: <http://www.osce.org/cio/303171>

მიადგება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობებს.⁶⁴ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლები საქართველოში ჩატარებული მონიტორინგის საკითხებზე, ეწვივნენ საქართველოს 2017 წლის 28- 30-მარტს და ვიზიტის დასასრულს „გამოთქვეს სეიოზული შეშფოთება აფხაზეთის რეგიონსა და დანარჩენ საქართველოს შორის ადმინისტრაციული საზღვრის დაკეტვის თაობაზე.“⁶⁵ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 15-ე კონსოლიდირებული ანგარიშის თანახმად, „მოსალოდნელია, რომ გამშვები პუნქტების რაოდენობის შემცირება აუცილებლად მიგვიყვანს მთელ რიგ დაკავებებთან, რომელიც რეგულარულად მოხდება „არასანქცონირებული“ პუნქტების გადაკვეთისას ან ვალიდური დოკუმენტების არქონისას.“⁶⁶ შესაბამისი განცხადებები გაკეთდა ა.შ.შ.- ის,⁶⁷ ლიტვისა⁶⁸ და იაპონიის მიერ.⁶⁹

40. 2017 წლის 23 იანვარს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზოგიერთი ეთნიკური აფხაზი ორი გამშვები პუნქტის დახურვის წინააღმდეგ გამოვიდა.⁷⁰ ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ 2017 წლის 25 იანვარს ოკუპირებული აფხაზეთის გალის რაიონის დაახლოებით 200 ეთნიკურად ქართველმა მშვიდობიანი საპროტესტო მიტინგი გამართა დამატებით კიდევ ორი გამშვები პუნქტის დახურვის გამო.⁷¹

⁶⁴ ნატოს პრეს-მდივნის ოანა ლუნგესკუს განცხადება საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვარზე განვითარებული მოვლენების გამო. ნატოს პრეს-მდივანი, 2017 წლის 28 თებერვალი, იხილეთ: http://www.nato.int/cps/en/natohq/news_141873.htm?utm_source=twitter&utm_medium=press&utm_campaign=170228-georgia

⁶⁵ საქართველო: მომხსენებლები მიესალმებიან მიღწეულ გაუმჯობესებას და იმედს გამოთქვამენ, რომ ხელისუფლება მალე მიხედავს დაურეგულირებელ საკითხებს, 2017 წლის 3 აპრილი, იხილეთ: <http://assembly.coe.int/nw/xml/News/News-View-EN.asp?newsid=6579&lang=2> >

⁶⁶ კონსოლიდირებული ანგარიში საქართველოში არსებულ კონფლიქტზე, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი (ოქტომბერი 2016 – მარტი 2017), 2016, SG/Inf (2017)18, პარაგრაფი 44.

⁶⁷ ა.შ.შ. ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს აფხაზეთის რეგიონში გამშვები პუნქტების დახურვის გამო (მარტი 6), Acting Spokesperson, Washington DC, 6 March 2017, available at <<https://ge.usembassy.gov/united-states-deeply-concerned-closure-crossing-points-georgias-abkhazia-region/>>

⁶⁸ ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება საქართველოს სეპარატისტულ რეგიონში აფხაზეთში გამშვები პუნქტების დახურვის გამო, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი, 2017 წლის 1 მარტი, იხილეთ: <http://urm.lt/default/en/news/lithuanian-foreign-ministrys-statement-on-closure-of-two-crossing-points-in-georgias-breakaway-region-of-abkhazia>

⁶⁹ საქართველოში აკრედიტებული იაპონიის საელჩოს განცხადება, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთი/საქართველო ჩატარებული ე.წ. „რეფერენდუმისა“ და აფხაზეთის საოკუპაციო საზღვარზე ე.წ. გამშვები პუნქტების დაკეტვის გამო, 2017 წლის 1 მარტი, იხილეთ:http://www.ge.emb-japan.go.jp/files/statement_01.03.2017/statement_01.03.2017_eng.pdf

⁷⁰ *Abkhazians are protesting against closing down crossing points along the administrative boundary line with Abkhazia*, “Pirweli Information Agency”, 23 January 2017, available at <<http://pia.ge/post/98361-okupirebul-afxazetsi-sesazloa-2-e-w-gamsvebi-punqtebi-arar-daixuros>>

⁷¹ *Residents of Gali district came out for protest*, “ekhokavkaza”, 25 January 2017, available at <<https://www.ekhokavkaza.com/a/28257996.html>>; *Abkhazian senior official advises Georgian residents of Gali not to cross redlines*, “Pirweli Information Agency”, 27 January 2017, available at <<http://pia.ge/post/99437-afxazi-maralcinosnebi-galel-qartvebs-zrvis-gadakvetas-ar-urceven>>

41. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 15-ე კონსოლიდირებული ანგარიშის თანახმად, “დელეგაციას მოახსენეს, რომ ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ე.წ. „სასაზღვრო ხაზი“ 2016 წლის ნოემბრიდან გაფართოვდა.... ამავე დროს, დელეგაციას შეატყობინეს, რომ დე ფაქტო ხელისუფლებამ (ცხინვალის რეგიონში) შეამსუბუქა ზოგიერთი შეზღუდვა ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ე.წ. „სასაზღვრო ხაზის“ გადაკვეთაზე, სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებელთა რამდენიმე პროტესტისა და კრიტიკული გამოსვლის შემდეგ, რომელთაც ვერ შეძლეს აღნიშნული ადგილის ფარგლებში მდებარე სოფელში მისვლა. კონრეტულად კი, 2017 წლის 27 იანვარს დე ფაქტო ხელისუფლებამ გააუქმა საგანგებო ნებართვა ე.წ. „სასაზღვრო ხაზის“ გადაკვეთაზე. სხვა შეზღუდვები კი, ნებართვის აუცილებლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქმედებების განხორციელებაზე ადმინისტრაციული საზღვრიდან 100 კილომეტრის მანძილზე ძალაში რჩება.“⁷²

42. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ 2017 წლის 18 იანვარს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სოხუმის საოკუპაციო რეჟიმი გეგმავდა ე.წ. „კანონის“ მიღებას, რომელიც მიმართული იქნება სანქციების გამკაცრებაზე ე.წ. „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გამო“. ე.წ. „კანონოპროექტის“ თანახმად, ე.წ. „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაზე“ ჯარიმა გაიზრდება დაკავებულის ხელფასის 80 -დან 100 - მაგ ოდენობამდე, დაკავების პერიოდი კი, „საზღვრის არალეგალურად განმეორებით გადაკვეთის“ შემთხვევაში 15 დღით განისაზღვრება“.⁷³ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 15-ე კონსოლიდირებული ანგარიშის თანახმად,“ მაშინ როდესაც, როგორც წესი დაპატიმრებულები მცირევადიანი დაკავების მერე თავისუფლდებოდნენ და იხდიდნენ „ჯარიმას“, ... ახლა „ჯარიმები“ მკვეთრად გაიზარდა - და ათჯერ უფრო მეტია საზღვრის განმეორებითი გადაკვეთისთვის; ეს წესი ცოტა ხნის წინ ძალაში შევიდა (აფხაზეთის რეგიონში).“⁷⁴

43. კონფლიქტით დაზარალებული რეგიონის ქალთა და ბავშვთა უფლებების მდგომარეობის შესახებ გაკეთებულ საგანგებო მოხსენებაში (2014-2016 წლების მიმოხილვა), საქართველოს სახალხო დამცველმა მოითხოვა გარანტია, რომ „არასრულწლოვნებს აღარ დააკავებენ და პაციენტებს კი საზღვრის გადაკვეთის ნებას ნებისმიერ დროს დართავენ. დაკავებაში ყოფნისას მკურნალობის საკითხებზე და დაკავებულების ღამით განთავისუფლების პრაქტიკაზე მსჯელობა მოლაპარაკებების დროს უნდა მოხდეს.“⁷⁵

⁷² *Georgian residents of Gali held another protest rally*, “Pirweli Information Agency”, 24 February 2017, available at <<http://pia.ge/post/104260-galelma-qartvelebma-morigi-aqcia-gamartes>>

⁷³ Consolidated Report on the Conflict in Georgia, Secretary General of the Council of Europe (October 2016 – March 2017), 2016, SG/Inf (2017)18, paragraphs 43 and 52.

⁷⁴ *Occupied Abkhazia is planning to tighten sanctions for so called illegal border crossing*, “Pirweli Information Agency”, 18 January 2017, available at <<http://pia.ge/post/97770-okupirebuli-afxazeti-e-w-sazrvris-ukanono-gadaketaze-sanqciebis-gamkacrebapirebs>>

⁷⁵ Consolidated Report on the Conflict in Georgia, Secretary General of the Council of Europe (October 2016 – March 2017), 2016, SG/Inf (2017)18, paragraph 44.

V. უფლება საკუთრებაზე

44. ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე გაკეთებული 2016 წლის ანგარიშის თანახმად, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოქვეყნდა: „აფხაზეთში დე ფაქტო სამართლის სისტემა კრძალავს საკუთრების მოთხოვნას იმ ეთნიკურად ქართველების მიერ, ვინც აფხაზეთი 1992-1993 ომის დროს დატოვა და ამით იძულებით გადაადგილებულ პირებს ართმევს აფხაზეთში საკუთრების უფლებას. 2010 წლის დეკრეტში, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება საქართველოს მთავრობის მიერ 1991 და 2008 წლებში გაცემულ დოკუმენტებს, ახალგორის რაიონში განლაგებული საკარმიდამო ნაკვეთების ფლობაზე, ძალადაკარგულად ცნობს. დეკრეტის თანახმად ახალგორის რაიონის მთელი ქონება ეკუთვნის დე ფაქტო ხელისუფლებას, სანამ „მოქალაქის“ უფლება საკუთრებაზე არ დადგინდება დე ფაქტო „კანონის“ შესაბამისად და ამით 2008 წელს დევნილ ეთნიკურად ქართველებს ართმევენ ამ რეგიონში საკუთრების უფლებას... აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების ხელისუფლებამ პირველ რიგში შეზღუდა ეთნიკურად ქართველების უფლებები ... საკუთრებაზე.“⁷⁶

45. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და კერძოდ კი, 2017 წლის 1 იანვარს, ე.წ. „რესპუბლიკური და მუნიციპალური საკუთრების პრივატიზაციის კანონი“ ოკუპირებულ აფხაზეთში ძალაში შევიდა.⁷⁷ ე.წ. „კანონი“ არეგულირებს „აფხაზეთის რესპუბლიკის“ საკუთრების პრივატიზაციის პროცესს (რესპუბლიკური საკუთრება) და „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები“ (მუნიციპალური საკუთრება) ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის. განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ ზემოთ ხსენებული „კანონი“ *inter alia*, ხელს უხსნის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მიტოვებული ქონების უკანონოდ გაყიდვის პერსპექტივას, რომელიც ამ ე.წ. „კანონის“⁷⁸ მიღებამდე „აფხაზეთის რესპუბლიკის“ მფლობელობაში გახლდათ (რესპუბლიკური ქონება), ხოლო „ადმინისტრაციული -ტერიტორიულ ერთეულები“ კი მუნიციპალიტეტს ეკუთვნოდა.

⁷⁶ *Special Report of Public Defender of Georgia on the Rights of Women and Children in Conflict-Affected Regions (Review of 2014-2016)*, 10 February 2017, page 59, available at <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4459.pdf>>

⁷⁷ *Georgia 2016 Human Rights Report*, U.S. Department of State, published on 3rd March 2017, available at <<https://www.state.gov/documents/organization/265634.pdf>>, page 18 and 2.

⁷⁸ „*Law on privatization of republican and municipal property*“, paragraph 1, Article 38, available at <<https://abh-n.ru/zakon-o-privatizacii-respublikanskoj-i-municipalnoj-sobstvennosti/>>

46 ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში „საქართველოსთან თანამშრომლობაზე“, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იქნა მიღებული, გამოთქმულია შემფოთება „ორივე რეგიონში... საკუთრებაზე უფლებაში ჩარევის გამო“.⁷⁹

47. საერთაშორისო ამნისტიის 2016-/2017 წლების ანგარიშის თანახმად: „ადამინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ღობეების ხშირმა აღმართვამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ადგილობრივი მოსახლეობის მუშაობის, საკვების მოპოვების და ადეკვატური სტანდარტით ცხოვრების უფლებაზე, მას მერე, რაც მათ ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგეს თავიანთ კუთვნილ ხილის ბაღებში, საძოვრებზე და სახნავ მიწაზე შესვლის შესაძლებლობა.“⁸⁰

48. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 15-ე კონსოლიდირებული ანგარიშის თანახმად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ე.წ. „საზღვრის გაყვანის“ გამო ადგილობრივი მოსახლეობა ისევ მოკლებული იყო უფლებას შესულიყო თავის კუთვნილ სოფლის სამეურნეო მიწებზე და საძოვრებზე განსაკუთრებით მოსავლის აღების პერიოდში.“⁸¹

49. 2017 წლის 3 მარტს, სტატია გამოქვეყნდა ნპრ-ში, რომელიც აღწერს ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო საზღვრის შედეგად წარმოშობილ პრობლემებს⁸². უფრო ზუსტად, სტატიის თანახმად „ფერმერებმა ერთ ღამეს დაიძინეს და ეგონათ, რომ მათი მიწები და ხილის ბაღები საქართველოს ტერიტორიაზე იყო და მეორე დღეს კი გაიღვიძეს და აღმოაჩინეს, რომ აღმართული ღობეები და საზღვრები სულ სხვა რაღაცას აღნიშნავდნენ. ახალი მწვანე ნიშნები იუწყებოდნენ სამხრეთ ოსეთის „სახელმწიფო საზღვრის“ არსებობას იქ, რაც მანამდე ქართულ ტერიტორიად ითვლებოდა. ამ დროისთვის საზღვარი არის იქ, სადაც რუსებს უნდათ რომ იყოს. რუსეთი აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთის საზღვრის განსაზღვრა, რომელიც საბჭოთა პერიოდში პროვინციად ითვლებოდა, ხდება საბჭოთა სამხედრო რუკების მიხედვით. თუმცა ტერიტორიის განმსაზღვრელი რუკები არ არის გამოქვეყნებული.“ თუ სოფლის შუაგულში ან ხილის ბაღის შუაგულში ე.წ. საზღვარი გადის, ამან შეიძლება დიდი პრობლემები შეუქმნას ადგილობრივ თემსა და საზოგადოებას“ - ამბობს ევროპის საბჭოს მონიტორი თომას ჟბლოვსკი. ... სოფელი ყვოდა - გვიხსნის მუსიკის მასწავლებელი ზიზი კურმაშვილი - ადამიანებს ვაშლის, ატმის და ქლიავის

⁷⁹ Program “Abkhazia”, 26 October 2017, available at <<https://www.youtube.com/watch?v=sqJJmTcwxBw>>; Program “Abkhazia”, 24 January 2016, available at <<https://www.youtube.com/watch?v=pSCCxyo7m6w>>

⁸⁰ “Cooperation with Georgia”, Resolution adopted by the UN Human Rights Council, 24 March 2017, 34th session (27 February-24 March 2017), A/HRC/RES/34/37.

⁸¹ Amnesty International Report 2016/2017: The State of the World’s Human Rights (Georgia 2016/2017), published on 22nd February 2017, available at <<https://www.amnesty.org/en/countries/europe-and-central-asia/georgia/report-georgia/>>

⁸² Consolidated Report on the Conflict in Georgia, Secretary General of the Council of Europe (October 2016 – March 2017), 2016, SG/Inf (2017)18, paragraph 51.

უზარმაზარი ბაღები ჰქონდათ და არსებობდა კარგი ბაზარი. ახლა - აგრძელებს ზიზი კურმაშვილი - რუსებმა მოიპარეს ჩვენი მიწა და წყალი და ადამიანებს ფულის შოვნის საშუალება წაართვეს.“⁸³

50. უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 18 იანვარს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სოხუმის საოკუპაციო რეჟიმი გეგმავს ე.წ. “კანონის” მიღებას, რომელიც ე.წ. “საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის” გამო საკუთარი ნივთების ჩამორთმევის უფლებას იძლევა ⁸⁴.

51. 2017 წლის 22 იანვარს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა აფხაზეთის საოკუპაციო ხაზთან საქართველოს რამდენიმე მოქალაქე გაჩხრიკეს და ჩამოართვეს მათი კუთვნილი ტელეფონები მხოლოდ იმის გამო, რომ მობილური ტელეფონები ქართული მობილური ქსელის ოპერატორში იყვნენ ჩართულნი.⁸⁵ იგივე წყაროს თანახმად, იმ ადამიანებს, ვისაც აფხაზეთის საოკუპაციო ხაზის გადალახვა სურთ, აიძულებენ დამატებითი ბაჟის გადახდას მათი პირადი ნივთებისთვის, თუ ისინი 10 კილოგრამს აჭარბებენ.⁸⁶

52. 2017 წლის 2 მარტს, ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლებს უნდა ავუხსნათ, რომ მათ არ უნდა დაამუშავონ საზღვრის ხაზის მეორე მხარეს მდებარე მიწები... და ამ წელს არანაირი კომპრომისი არ იქნება დაშვებული უკანონო მოსავლის აღებასთან დაკავშირებით“.⁸⁷

VI. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება.

53. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, აფხაზეთის რეგიონის გალის რაიონში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების მხრივ სიტუაცია უცვლელი რჩება. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში, “საქართველოსთან თანამშრომლობა“, რომელიც საანგარიშო პერიოდის

⁸³ *Along A Shifting Border, Georgia And Russia Maintain An Uneasy Peace*, Stephanie Joyce, npr, 13 March 2017, available at <<http://www.npr.org/sections/parallels/2017/03/13/519471110/along-a-shifting-border-georgia-and-russia-maintain-an-uneasy-peace>>

⁸⁴ *Along A Shifting Border, Georgia And Russia Maintain An Uneasy Peace*, Stephanie Joyce, npr, 13 March 2017, available at <<http://www.npr.org/sections/parallels/2017/03/13/519471110/along-a-shifting-border-georgia-and-russia-maintain-an-uneasy-peace>>

⁸⁵ *Occupied Abkhazia is planning to tighten sanctions for so called illegal border crossing*, “Pirweli Information Agency”, 18 January 2017, available at <<http://pia.ge/post/97770-okupirebuli-afxazeti-e-w-sazrvis-ukanono-gadakvetaze-sanqciebis-gamkacrebapirebs>>

⁸⁶ *Citizens using so called pedestrian crossing points are fined in occupied Abkhazia*, “Newposts”, 22 January 2017, available at <<http://www.newposts.ge/?id=130280>>

⁸⁷ *Citizens using so called pedestrian crossing points are fined in occupied Abkhazia*, “Newposts”, 22 January 2017, available at <<http://www.newposts.ge/?id=130280>>

განმავლობაში იქნა მიღებული, გამოთქმულია შეშფოთება „მშობლიურ ენაზე განათლების მიღებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო“.⁸⁸

54. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ 15-ე კონსოლიდირებული ანგარიშის თანახმად, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაკეთდა, “რუსულმა ენამ ქართული ენა ჩაანაცვლა ქვემო გალის 11-ვე სკოლაში (აფხაზეთის რეგიონი) პირველი კლასიდან მეხუთე კლასის ჩათვლით, გალის ზემო ზონაში შემოტანილი პრაქტიკის მსგავსად, სადაც 2008 წლიდან ყველა სკოლა რუსულ პროგრამაზე გადავიდა. ამ კლასებში ქართული ენის სწავლება შეიზღუდა ორი გაკვეთლით კვირაში და ქართული ისწავლება როგორც უცხო ენა. ამას ემატება ქართული ლიტერატურის კიდევ ერთი საათი კვირაში. დელეგაციასთან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლეთა საუბარისას გაირკვა, რომ გალის მასწავლებლების მომზადება გართულდა კონტროლის გამკაცრების გამო და რომ ადგილი ჰქონდა სამინისტროს მიერ მიწოდებული ქართული სახელმძღვანელოების კონფისკაციას. ... ორივე, როგორც ქართველი, ისე უცხოელი საკონტაქტო (შუამავლები) პირები მიუთითებენ სკოლის დატოვების მზარდ შემთხვევებზე, რაც გამოწვეულია მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეუძლებლობით და სკოლის მოსწავლეების თავისუფლად გადაადგილების უფლების შეზღუდვით, 2016 სასკოლო წლის დაწყებისას აფხაზური მხარის მიერ მოცემული დაპირების მიუხედავად.”⁸⁹

55. ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა შესახებ 2016 წლის მოხსენების თანახმად, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოქვეყნდა „აფხაზეთის გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკურად ქართველები ქართულ ენაზე განათლების მიღებასთან დაკავშირებით წააწყდნენ პრობლემებს. ესმმ-ის ინფორმაციის თანახმად, გალში/საქართველო, გალელი მოსწავლეები, რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე არსებულ სკოლაში აპირებდნენ წასვლას, წააწყდნენ სირთულეებს სასკოლო წლის დასაწყისში ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთისას.“⁹⁰

56. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ქალებისა და ბავშვების უფლებათა სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში (2014-2016 წლების მიმოხილვა), რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოქვეყნდა, ნათქვამია: „ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთაზე შემოღებული შეზღუდვების გამო იმ მოსწავლეებს,

⁸⁸ *Georgian violators of border were expelled from South Ossetia*, “Sputnik-Ossetia”, 2 March 2017, available at <http://sputnik-ossetia.ru/South_Ossetia/20170302/3791660.html>

⁸⁹ “Cooperation with Georgia”, Resolution adopted by the UN Human Rights Council, 24 March 2017, 34th session (27 February-24 March 2017), A/HRC/RES/34/37.

⁹⁰ Consolidated Report on the Conflict in Georgia, Secretary General of the Council of Europe (October 2016 – March 2017), 2016, SG/Inf (2017)18, paragraphs 47-48.

რომლებიც ხაზს ყოველდღიურად კვეთენ სკოლის გეგორაფიული სიახლოვის გამო, ეზღუდებთ განათლების მიღების უფლება. ამ შეზღუდვების გამო წლიდან წლამდე ამგვარი მოსწავლეების რიცხვი მატულობს. დამატებით, მხოლოდ მოსწავლეებს აქვთ სკოლაში წასასვლელად ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის უფლება, რომელნიც რუსი მესაზღვრეების საგანგებო სიაში არიან ჩაწერილნი.⁹¹

57. ითვლება, რომ დამატებითი ორი გამშვები პუნქტის დახურვა აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე „განსაკუთრებულ ზეგავლენას მოახდენს სკოლის მოსწავლეებსა და ჰუმანიტარულ დახმარებაზე. გადასასვლელი ხშირ შემთხვევაში 50 კილომეტრით არის გაფართოვებული.“⁹² „ევროპის საბჭოს მონიტორინგის მისია (ესმმ) სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს გამშვები პუნქტების დახურვის თაობაზე და ხაზს უსვამს იმ უარყოფით ზეგავლენას, რომელსაც ეს ნაბიჯი მოიტანს და რომელიც აისახება იმ ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, რომლებიც ადმინისტრაციულ საზღვარს კვეთენ. განსაკუთრებით ხაზგასმულია სკოლის მოსწავლეების თავისუფლად გადაადგილების პრობლემა....“⁹³

VII. დასკვნები

58. შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში აღწერილი სიტუაცია და საანგარიშო პერიოდისთვის არსებული მაგალითები, შეიცავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებების სფეროში, ისევე როგორც წამებისა და ცუდად მოპყრობისგან თავისუფლების⁹⁴, თვითნებურად დაკავების⁹⁵, მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა⁹⁶ და დისკრიმინაციის⁹⁷ აკრძალვის სფეროში სერიოზულ დარღვევებს“.

⁹¹ *Georgia 2016 Human Rights Report*, U.S. Department of State, published on 3rd March 2017, available at <<https://www.state.gov/documents/organization/265634.pdf>>, page 42.

⁹² *Special Report of Public Defender of Georgia on the Rights of Women and Children in Conflict-Affected Regions (Review of 2014-2016)*, 10 February 2017, page 56, available at <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4459.pdf>>

⁹³ Consolidated Report on the Conflict in Georgia, Secretary General of the Council of Europe (October 2016 – March 2017), 2016, SG/Inf (2017)18, paragraph 42.

⁹⁴ Consolidated Report on the Conflict in Georgia, Secretary General of the Council of Europe (October 2016 – March 2017), 2016, SG/Inf (2017)18, paragraph 42.

⁹⁵ *EUMM participates in 42nd meeting of Gali IPRM*, EUMM, 25 January 2017, available at <https://www.eumm.eu/en/press_and_public_information/press_releases/5726/?print=yes>

⁹⁶ Article 9 of the International Covenant on Civil and Political Rights (ICCPR); Article 3 of the Universal Declaration of Human Rights (UDHR); Article 5 of the European Convention on Human Rights (ECHR); and relevant provisions of the OSCE commitments.

⁹⁷ Article 12 of the International Covenant on Civil and Political Rights (ICCPR); Article 13 of the Universal Declaration of Human Rights (UDHR); Article 2, Protocol No. 4 of the European Convention on Human Rights (ECHR); and the OSCE freedom of movement commitments.

VIII მიმართვა საერთაშორისო საზოგადოებისადმი

59. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, სახელმწიფოებს, საერთაშორისო შიდა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს:

განაგრძონ რუსეთის ფედერაციის მოწოდება, შეწყვიტოს საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარება და დაასრულოს ქართული ტერიტორიების ოკუპაცია;

მოუწოდონ რუსეთის ფედერაციას შეწყვიტონ ადამიანის უფლებების დარღვევა ოკუპირებულ ტერიტორიებზე;

განაგრძონ რუსეთის ფედერაციის მოწოდება, უზრუნველყოს ადამიანების თავისუფლად გადაადგილება და მოხსნას მავთულხლართები და სხვა ხელოვნური ბარიერები და ბანერები საოკუპაციო ხაზის გაყოლებაზე;

მიიღონ დამატებით ზომები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სიტუაციის მონიტორინგისთვის და ანგარიშისთვის და განსაკუთრებით ხაზგასმით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს:

i) გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის სამსახურს, იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს დამატებითი ზომები, იმისათვის, რომ რეგულარულად განიხილოს და შეაფასოს აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების სფეროში არსებული სიტუაცია.

ii) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭოს საგანგებო საპროცესო მანდატის მფლობელებს, მიიღონ დამატებითი ზომები, რათა განიხილონ და ანგარიში წარმოადგინონ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სიტუაციის შესახებ.

iv) ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს, რათა მიიღოს დამატებითი ზომები საქართველოს რეგიონებში აფხაზეთსა და ცხინვალში

ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სიტუაციის დასარეგულირებლად და ანგარიშის მოსამზადებლად;

ევროპის უსაფრთხოებისა და თანაშემრომლობის ორგანიზაციას და ავტონომიურ ინსტიტუციებს და კერძოდ დემოკრატიული ინსტიტუციების სამსახურს და ეროვნულ უმცირესობათა ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის სამსახურს, რათა გამოინახოს გზები საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების სფეროში არსებული სიტუაციის მონიტორინგისთვის. ეს ნაბიჯები შეიძლება, მათ შორის მოიცავდეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უფლებების დაცვის განხორციელებაზე კონტროლის განხორციელებას და ანგარიშის მომზადებას ამ რეკომენდაციების დანერგვის სტატუსის თაობაზე, რომელიც შედის ODIHR/HCNM 2008 წლის ანგარიშში „საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ ომით დაზარალებულ ტერიტორიებზე არსებული ადამიანის უფლებების მდგომარეობა.“

განაგრძოს რუსეთის ფედერაციის მოწოდება, ნება დართოს ა) გამოყენებული იქნეს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმები საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში; ბ) ოფიციალურად და ლეგალურად შეუშვას საერთაშორისო ორგანიზაციების სათანადო მისიები, ჰუმანიტარული ორგანიზაციების ჩათვლით, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში.

განაგრძოს და გააძლიეროს ადამიანის უფლებების დარღვევის დაგმობა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, ისეთის როგორცაა თავისუფლად გადაადგილების უფლება; წამებისგან და შეურაცხყოფისგან თავისუფლება; უფლება საკუთრებაზე და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება.